ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 119250164**

თარიღი:**16/01/2025**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეების კორპორაციული ქსელით უზრუნველყოფისათვის ყოველთვიური ლიმიტების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტისა და ,,წალკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის N11 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით კორპორაციული ქსელით უზრუნველყოფა განხორციელდეს ,,წალკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის N11 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან, შემდეგი ყოველთვიური ლიმიტის ფარგლებში:

ა) საკრებულოს თავმჯდომარეს - 50 (ორმოცდაათი) ლარი;
ბ) საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს - 30 (ოცდაათი) ლარი;
გ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებს - 30 (ოცდაათი) ლარი;
დ) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირს - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს საკრებულოს აპარატის უფროსს - 30 (ოცდაათი) ლარი;
ე) განყოფილების უფროსებს - 25 (ოცდახუთი) ლარი;
ვ) საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწეს - 20 (ოცი) ლარი;
ზ) საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს - 20 (ოცი) ლარი;
თ) საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს - 20 (ოცი) ლარი;
ი) სამდივნო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს - 20 (ოცი) ლარი;
კ) საორგანიზაციო განყოფილების მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს - 20 (ოცი) ლარი;
ლ) მძღოლს - 20 (ოცი) ლარი;

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილეს (ა. ვანაძე).

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი